ოქმი:**ო63. 6323332001**
თარიღი:**28/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N9

ქ.სამტრედია 20 ნოემბერი, 2023 წელი.

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, გიორგი ლეჟავა, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, მარიამ ბარბაქაძე, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი, ჯონი თევზაძე.

დღის წესრიგი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ირაკლი მელაშვილი/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (11) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (11) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ირაკლი მელაშვილი - შესასწავლად დამეწერა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მოგახსენებთ, რომ 2024 წლის ბიუჯეტი გაიზარდა და გახდა 25,887,4 ათასი ლარის ოდენობით, რაც წინა წლის დამტკიცებული მთლიანი შემოსულობების ოდენობაზე 2,996,9 ათასი ლარით მეტია.

განათლების მიმართულებით წინა წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით დაფინანსება გაზრდილია 418.3 ათასი ლარით და შეადგენს 4,399,3 ათას ლარს.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 2,638.5 ათასი ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1,377.8 ათასი ლარი.

ახალგაზრდული ორგანიზაციების, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება - 218.0 ათასი ლარი.

დღეს წარმოგიდგენთ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაში დარგობრივად შემავალი ა.(ა).ი.პ.-ების და შ.პ.ს. -ების ბიუჯეტის პროექტს.

1. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 209,3 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 11500 ლარით.

2. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 94,40 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 6100 ლარით.

3. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის სამუსიკო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 94,40 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 7800 ლარით.

4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 67,6 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 5800 ლარით.

5. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 83.30ათ. ლარს. საკუთარი შემოსავალი შეადგენს 4.10ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 6800 ლარით.

6. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 95,40 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 7400 ლარით.

7. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი ,,სამტრედია“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 206.00 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 11.600 ლარით, საქონელი და მომსახურება 6000 ლარით.სულ გაიზარდა 17600 ლარით.

8. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ,,ფალავანი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 318.8 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 12500 ლარით, საქონელი და მომსახურება 2000 ლარით, სხვა ხარჯები 12800 ლარით.სულ გაიზარდა 27.300 ათ.ლარით.

9. ა.(ა).ი.პ. რაგბის კლუბი ,,ფენიქსი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 244,70 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია

9600 ლარით, საქონელი და მომსახურება 39400 ლარით.სულ გაიზარდა 49000 ლარით.

მოგახსენებთ, რომ რაგბის კლუბმა გადაინაცვლა პირველ ადგილზე და წარმატებები მინდა ვუსურვო მათ შემდეგ ეტაპებზე.

10. შ.პ.ს. ,,სპორტული კომპლექსი - სამტრედია“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 710,00 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 40700 ლარით,საქონელი და მომსახურება 7300 ლარით, სოციალური უზრუნველყოფა 2000 ლარით. სულ გაიზარდა 50 000 ლარით.

11. ა.(ა).ი.პ. საფრენბურთო კლუბი ,,ჯიკო“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 144.0 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 5200 ლარით, სხვა ხარჯები 14600 ლარით, საკუთარი შემოსავალი 50.0 ათ.ლარით.

12. ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 322.40 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 17.500 ათ ლარით, საქონელი და მომსახურება 16.500 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივები 2400 ლარით.სულ გაიზარდა 36 400 ლარით.

13. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 94,40 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 6900 ლარით.

14. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 89,5 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 6100 ლარით.

15. ა.(ა).ი.პ. ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთინება“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 122,9 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 8400 ლარით.

16. ა.(ა).ი.პ. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 4039,3 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 388,600 ლარით, საქონელი და მომსახურება 69,300 ათ.ლარით, არაფინანსური აქტივები 81.400 ათ.ლარით. სულ გაიზარდა 539,300 ათ.ლარით.

17. ა.(ა).ი.პ. ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსაწავლე-ახალგაზრდობის სახლი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 300,00 ათ. ლარს. სულ გაიზარდა 19000 ლარით.

18. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 521,00 ათ. ლარს. სულ გაზრდილია გაზრდილია 35300 ლარით.

19. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრი“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 60,0 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 4000 ლარით.

20. შ.პ.ს. ,, სამტრედიის მაცნე“_ს 2024 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 104,4 ათ. ლარს. შრომის ანაზღაურება გაზრდილია 6700 ლარით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მოსაზრება დააფიქსირეს.

ირაკლი მელაშვილი - მინდა გაგაცნოთ ინიციატივა, რომელიც მსურს მომავალი წლიდან დაინერგოს. სტუდენტებმა, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებში მიიღეს 100%-იანი დაფინანსება, ერთჯერადად გადაეცეთ ფულადი ჯილდო, 300(სამასი) ლარის ოდენობით.

კომისიის წევრები ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ ინიციატივას.

დაადგინეს: კომისიის წევრები, კენჭისყრის შედეგად, (11) ხმით მხარს უჭერს, რომ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში მოხდეს ზემოაღნიშნული ინიციატივის გათვალისწინება.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი